სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ პასპორტების და პირადობის დამადასტურებელი ბარათების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №2

ქ. თბილისი 05 მარტი, 2019 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: სოსო გიორგაძე

სატენდერო კომისიის წევრები: მიხეილ კაპანაძე, მარინე გვრიტიშვილი, გიორგი რუხაძე, გიორგი ჯიჯეიშვილი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ნათია ხუჯაძე, ანა ომანაძე.

დღის წესრიგი: პასპორტების და პირადობის დამადასტურებელი ბარათების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით: ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტის დამტკიცება.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, სოსო გიორგაძემ აღნიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე არ იკვეთება საჭიროება სხომას დაესწრონ სატენდერო კომისიაში კონსულტანტებად მოწვეული პირები.

სატენდერო კომისიის წევრის, მიხეილ კაპანაძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი, რომლის დამტკიცების შემდგომ მოხდება მისი განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება დადგინდა ბაზარზე არსებული ფასების საფუძველზე და განისაზღვრა 140,632,631.00 (ასორმოცი მილიონ ექვსასოცდათორმეტი ათას ექვსასოცდათერთმეტი) ლარად (ბაზრის მოკვლევისას დაფიქსირებული უმცირესი ფასის მიხედვით, რომელმაც შეადგინა 46,453,270.45 (ორმოცდაექვსი მილიონ ოთხასოროცდაცამეტი ათას ორასსამოცდაათი ევრო და 45 ევრო ცენტი) ევრო და, რომლის ექვივალენტურ თანხასაც წარმოადგენს შესყიდვის სავარაუდო ღირებულება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საგადაცვლო კურისის მიხედვით, 2019 წლის 05 მარტის მდგომარეობით).

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების <u>პროექტი.</u>

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი;

2. დამტკიცების შემდგომ, სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ წინამდებარე ოქმის, სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტის განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე: /სოსო გიორგაძე/

კომისიის წევრი: /მიხეილ კაპანაძე/

კომისიის წევრი: /გიორგი რუხაძე/

კომისიის წევრი: /მარინე გვრიტიშვილი/

კომისიის წევრი: /გიორგი ჯიჯეიშვილი/

კომისიის აპარატის წევრი: /ნათია ხუჯაძე/

კომისიის აპარატის წევრი: /ანა ომანაძე/